

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

03.08. 2018 წელი

ქ.ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №81

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ

შავიზღვისპირა პლაჟზე ბაზირების პუნქტების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №386 დადგენილების №5 დანართის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავიზღვისპირა პლაჟზე ზომამცირე გემების (კატარღა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი, ნავი) ბაზირების პუნქტებად განისაზღვროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასტუმროები „ოქროს საწმისი“ და „ანაკლია“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში - კაფე „ამპი თეატრის“ ტერიტორია.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ზუგდიდი რ. ლალიძის ქუჩა №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია